ПРОЛЕТАРІАРІ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

СССР

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 169 (13254) | სამშაბათი, 20 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

მიფრენავს „ზონდ-3“

კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1965 წლის 18 ივლისს საბჭოთა კავშირში განხორციელდა კოსმოსური მრავალსაფეხურიანი მატარებელი რაკეტის გაშვება. მატარებელ რაკეტაზე დადგმულია ავტომატური სადგური „ზონდ-3“.

მატარებელი რაკეტის უკანასკნელმა საფეხურმა შუალედურ ორბიტაზე გაიყვანა დედამიწის ძმიმე ხელოვნური თანამგზავრი. შემდეგ გაანგარიშებულ დროში თანამგზავრიდან სტარტი აიღო კოსმოსურმა რაკეტამ, რომელმაც ავტომატურ სადგურს „ზონდ-3“-ს განუვითარა ისეთი სიჩქარე, რაც საკმარისი ჰელიოცენტრულ ორბიტაზე გასაყვანად.

გაშვების მიზანია სადგურის სისტემების დაზუსტება ხანგრძლივი კოსმოსური ფრენის რეალურ პირობებში და მეცნიერული კვლევის განხორციელება საპლანეტთაშორისო სივრცეში.

ავტომატური სადგურის ფრენის მართვა, მისი ტრაექტორიის პარამეტრების განსაზღვრა და ინფორმაციის მიღება ხორციელდება სპეციალური საკომანდო-საზომი კომპლექსით.

სადგურ „ზონდ-3“-თან მოეწყო კავშირის სეანსები. სეანსების დრო მისი ფრენის რეალურ პირობებში დადგენილ იქნა ელექტრონული გამოთვლითი მანქანის „ურალ-2“-ის მეშვეობით. ეს ინფორმაცია ავტომატურად ეწყობა, როცა მისი შედეგების მიხედვით ხორციელდება ღონისძიებანი, რომლებიც ზრდიან შემსრულებელთა პასუხისმგებლობას. პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებზე, ფართო საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით უნდა შექმნან შეუწყნარებლობის ვითარება მოლაზღაანეებისა და მატყუარების გარშემო, იმ ადამიანთა გარშემო, რომლებიც ცდილობენ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა ჩაანცვლონ ქაღალდებში, დაუსრულებელ სხდომებსა და თათბირებში.

სიტყვისა და საქმის ერთიანობა, მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის გადიდება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლით. კრიტიკა ვეხმარება გავაუმჯობესოთ მუშაობა, აძლიერებს პასუხისმგებლობას, ხელს უწყობს დისციპლინის განმტკიცებას, ზრდის ადამიანებს. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ცალკეული ხელმძღვანელები აშკარად ახშობენ კრიტიკას, დევნიან იმათ, ვინც აკრიტიკებს. მაგრამ არის კრიტიკის ჩახშობის სხვა ფორმაც, ეს ფორმა იმით გამოიხატება, რომ ხელმძღვანელი სიტყვით აღიარებს კრიტიკას, კრების ან თათბირის ბოლოს აცხადებს, რომ კრიტიკას გათვალისწინებს, ამხანაგების წინადადებებს გაანაღდებს. გადის ერთი-ორი თვე — და ყველაფერი ძველებურად რჩება, ხელმძღვანელმა „დაივიწყა“ კრიტიკული შენიშვნები. ფორმით გამოდის, რომ კრებაზე გამოსულთ მხარი დაუჭირეს, ხოლო სინამდვილეში მათი აზრები უგულებელყვეს. კრიტიკის ჩახშობა, რა ფორმითაც უნდა ხდებოდეს, დანაშაულია. თუ ამაში ბრალი მიუძღვის ამა თუ იმ კომუნისტს, პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან სრულად გამოიყენონ პარტიის წესდება. უნდა მოეწყოს პარტიული ორგანიზაციების მიერ იმ ღონისძიებათა საკითხის პერიოდული განხილვა, რომლებიც მიღებულია კომუნისტებისა და უპარტიოების მიერ კრებებზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გამო.

პარტიული ორგანიზაციების, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ჩაუნერგონ მუშაკებს მაღალი პასუხისმგებლობის, იმისადმი მისწრაფების გრძნობები, რომ ყოველთვის და ყველაფერში დაიცვან სიტყვისა და საქმის ერთიანობა.

სიტყვისა და საქმის ერთიანობა

კომუნისტური პარტია განუწყვეტლივ ზრუნავს იმისათვის, რომ აღზარდოს კადრები მაღალი იდეურობის სულისკვეთებით, გამოუმუშაოს თვითეულ მუშაკს ისეთი თვისებები, როგორიც არის პრინციპულობა, საქმიანობა, დისციპლინიანობა, სიძნელეთა გადალახვის უნარი. ამასთან განსაკუთრებით საჭიროა ჩაეუნერგოთ ყველა კატეგორიის მუშაკებს მინდობილი საქმისათვის მაღალი პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა პარტიისა და ხალხის წინაშე. იმ მოთხოვნებს შორის, რომლებსაც კადრებს უყენებენ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო და არის სიტყვისა და საქმის ერთიანობის მოთხოვნა.

სიტყვისა და საქმის ერთიანობა იმ ადამიანის განმასხვავებელი ნიშანია, რომელიც თავისი პრაქტიკული საქმიანობის ყოველ ნაბიჯს უკავშირებს კომუნისტური იდეალების განხორციელებას. მიზანსწრაფვა, ინიციატივა, სიმტკიცე, არა ფორმალური, არამედ შემოქმედებითი მიდგომა ცხოვრებით წამოყენებული ამოცანების გადაწყვეტისადმი — აი რა ახასიათებს მუშაკს, რომლის სიტყვა და საქმე ერთია, რომელიც, საქმეს რომ მოჰკიდებს ხელს, აუცილებლად ბოლომდე მიიყვანს.

სიტყვისა და საქმის ერთიანობის უზრუნველყოფა ნიშნავს იმას, რომ მთავარ მოვალეობად მიგვაჩნდეს ორგანიზატორული მუშაობა მიღებული გადაწყვეტილების შესრულებისათვის, შინაგანი რეზერვების მობილიზაციისათვის, აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ხშირად ვხედებით ფაქტებს, როცა მუშაკთა ენერგიისა და ძალების მეტი ნაწილი ხმარდება ყოველგვარ ღონისძიებათა შემუშავებას, თათბირებსა და სხდომებს და ყველაზე ნაკლებ წარმობს ორგანიზატორული საქმიანობა, იმის განხორციელება, რაც დასახულია, მიღებულია, მოწონებულია.

მაგალითად, შორეული აღმოსავლეთის თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. დროზდოვი კარგად იცნობს მთავრობის მითითებას თევზის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ. მისი ხელმძღვანელობით სამმართველოში მოეწყო ბევრი თათბირი ამ საკითხზე. ამხ. დროზდოვი კარგ სიტყვებს ამბობს, ხოლო პრაქტიკულად მთავარმა სამმართველომ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, დაიწყო მდარე ხარისხის თევზის ჭერის გადიდება. თევზის მრეწველობის ბევრ საწარმოში არ იცავენ თევზის დამუშავების ელემენტარულ წესებს, რაც იწვევს არა მარტო მისი ხარისხის გაუარესებას, არამედ გაფუჭებასაც. მარტო კამჩატკის თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველოში შარშან შემცირდა დაახლოებით 180 ათასი ცენტნერის სორტულობა და არასტანდარტულ პროდუქციაზე გადაყვანილია 40 ათასი ცენტნერი ქაშაყი, რის შედეგადაც სახელმწიფოს რამდენიმე მილიონი მანეთი ზარალი მოუვიდა.

მას შემდეგ, რაც მიღებულია გადაწყვეტილება, მთავარია უზრუნველყოთ მისი შესრულება, უნარიანად გავანაწილოთ მუშაკები, ხელი მოვკიდოთ ორგანიზატორულ მუშაობას. შემსრულებლები ხშირად ხვდებიან სიძნელეებს, ვერავითარი გადაწყვეტილება, რა გულდასმითაც უნდა მოამზადონ იგი, ვერ გათვალისწინებს კოლექტივებისა და ცალკეული შემსრულებლების ყველა შესაძლებლობას, ადგილმრივ პირობებს, ცვლილად ვითარებას. აი ამიტომ ამა თუ იმ გადაწყვეტილების შესრულების მსვლელობაში უნდა გამოვიჩინოთ მეტი ინიციატივა, პირადი თაოსნობა, უფრო სრულად გამოვიყენოთ მთელი რეზერვები და შესაძლებლობანი.

საქმისადმი ასეთი შემოქმედებითი მიდგომა ყოველთვის როდი უზრუნველყოფილი. არიან მუშაკები, რომლებიც, შესრულების ორგანიზაციის დროს სიძნელეებს რომ წააწყდებიან, ან არ ცდილობენ მათ გადალახვას, არამედ იყენებენ თავიანთი უმოქმედობის, დაგვიანების ჩაშლის გასამართლებლად.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭომ თავის დროზე მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის საწარმოო კომიტეტის საწარმოებს უნდა მიეწოდებინათ საერთო საცხოვრებელი სახლები რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს სოფელ ადგილას მომუშავე მოძრავი მექანიზებული კოლონებისათვის. ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ამხ. ფინოგენოვმა იმის ნაცვლად, რომ გამოესახა ამ გადაწყვეტილების შესრულების ყველაზე მისაღები გზები, ენახა, თუ რა რეზერვები ჰქონდათ საწარმოებს, დაიწყო მიღებული დავალების არარეალობის მტკიცება. მაგრამ შემოწმებამ ცხადყო, რომ იმ ქარხნების სიმძლავრეები, რომლებიც საერთო საცხოვრებელ სახლებს უშვებენ, მთლიანად არ იყო გამოყენებული, რომ სახლების წარმოების გადიდების ღონისძიებანი არ განუხორციელებიათ. გავიდა ნახევარ წელზე მეტი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს გადაწყვეტილების მომენტიდან, ხოლო დავალება საერთო საცხოვრებელი სახლების მიწოდების შესახებ დღესაც არ არის შესრულებული. აქ უკვე საქმე გვაქვს არა მარტო შესრულებისადმი შემოქმედებითი მიდგომის უქონლობასთან, არამედ პირდაპირ უდისციპლინობასთანაც.

ПРАВДА

19 ივლისის მოწინავე

სიტყვისა და საქმის ერთიანობას ვერ უზრუნველვყოფთ, თუ არა გვაქვს ცოდნა, არ ვხმარობთ. ცოდნა საჭიროა წიგნიერი ხელმძღვანელობისათვის, მასების უნარიანი ორგანიზაციისათვის. ხელმძღვანელი მოვალეა ყოველ მომენტში ნათლად წარმოიდგინოს, თუ როგორ მიმდინარეობს მუშაობა ამა თუ იმ გადაწყვეტილების შესასრულებლად, რა შედეგებია მიღწეული ამა თუ იმ ეტაპზე, სად და რა მიზეზით წარმოიშვა ჩამორჩენა, რა უნდა გაკეთდეს ამ ჩამორჩენის დასაძლევად. მუშაკი, რომელსაც ცოდად აქვს წარმოდგენილი შესასრულებელი საქმე, სავსებით გასაგებია, ვერ უზრუნველყოფს მიღებული გადაწყვეტილების განხორციელებას. თუ ადამიანი ვერ ხედავს სიძნელეებს, რომლებიც წარმოიქმნება ამა თუ იმ ამოცანის გადაწყვეტის დროს, იგი ვერ შეძლებს ამ სიძნელეების დროზე აღმოფხვრას, ეს კი საბოლოო ანგარიშით გამოიწვევს დავალების ჩაშლას. ხელმძღვანელი, რომელსაც ცუდად აქვს წარმოდგენილი საქმე, ვერ დაინახავს აგრეთვე რეზერვებს, ახალ შესაძლებლობებს, რომლებიც იქვეა, საწარმოში, მშენებლობაზე, მაგრამ გამოყენებული არ არის.

მუშაკებისათვის იმ მისწრაფების ჩანერგვასა და განვითარებას, რომ ყოველთვის და ყველაფერში სიტყვა განამტკიცონ ცოცხალი საქმით, ხელს უწყობს შესრულების შემოწმება. შესრულების შემოწმება ჩინებული პროფილაქტიკური საშუალებაა უპასუხისმგებლობის, უდისციპლინობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ამავე დროს აფრთხილებს ხელმძღვანელებს არ გაყოყოჩდნენ, ზედმეტად არ შეაფასონ მიღწეული შედეგები. შესრულების შემოწმება ავლენებს ახალ შესაძლებლობებს, ხოლო ახალი შესაძლებლობანი მოითხოვენ ახალ შემოქმედებას, ღონისძიებებს, უფრო მაღალ დაძაბვას მუშაობაში.

ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენში ყველაფერი როდი კეთდება შესრულების რეგულარული, ყოველდღიური შემოწმების მოსაგვარებლად. პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოების შექმნასთან დაკავშირებით ზოგიერთმა ამხანაგმა შეასუსტა ყურადღება მუშაობის ამ უმნიშვნელოვანესი უბნისადმი და მცდარად ფიქრობს, რომ მას ახლა პასუხს არ მოსთხოვენ შესრულების შემოწმების ორგანიზაციისათვის. მთელ რიგ ორგანიზაციებში შესრულების შემოწმებას შემთხვევითი, ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს. ერთსა და იმავე გადაწყვეტილებებს რამდენჯერმე ამოწმებენ, ხოლო საქმის მდგომარეობა არ იცვლება. ასეთი ბიუროკრატიული შემოწმება სასარგებლო კი არა, მავნეც არის. იგი ქმნის მუშაობის მოჩვენებითობას, ხელს უშლის კადრების სწორად აღზრდას.

უნდა გვახსოვდეს, რომ შესრულების შემოწმება თვითმიზანი კი არ არის, არამედ საარსებო ამოცანების გადაწყვეტის მეთოდია. იგი მაშინ არის ქმედითი, როცა სისტემატურად ეწყობა, როცა მისი შედეგების მიხედვით ხორციელდება ღონისძიებანი, რომლებიც ზრდიან შემსრულებელთა პასუხისმგებლობას. პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოებზე. ფართო საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით უნდა შექმნან შეუწყნარებლობის ვითარება მოლაზღაანეებისა და მატყუარების გარშემო, იმ ადამიანთა გარშემო, რომლებიც ცდილობენ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა ჩაანცვლონ ქაღალდებში, დაუსრულებელ სხდომებსა და თათბირებში.

სიტყვისა და საქმის ერთიანობა, მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის გადიდება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლით. კრიტიკა ვეხმარება გავაუმჯობესოთ მუშაობა, აძლიერებს პასუხისმგებლობას, ხელს უწყობს დისციპლინის განმტკიცებას, ზრდის ადამიანებს. ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა ცალკეული ხელმძღვანელები აშკარად ახშობენ კრიტიკას, დევნიან იმათ, ვინც აკრიტიკებს. მაგრამ არის კრიტიკის ჩახშობის სხვა ფორმაც, ეს ფორმა იმით გამოიხატება, რომ ხელმძღვანელი სიტყვით აღიარებს კრიტიკას, კრების ან თათბირის ბოლოს აცხადებს, რომ კრიტიკას გათვალისწინებს, ამხანაგების წინადადებებს გაანაღდებს. გადის ერთი-ორი თვე — და ყველაფერი ძველებურად რჩება, ხელმძღვანელმა „დაივიწყა“ კრიტიკული შენიშვნები. ფორმით გამოდის, რომ კრებაზე გამოსულთ მხარი დაუჭირეს, ხოლო სინამდვილეში მათი აზრები უგულებელყვეს. კრიტიკის ჩახშობა, რა ფორმითაც უნდა ხდებოდეს, დანაშაულია. თუ ამაში ბრალი მიუძღვის ამა თუ იმ კომუნისტს, პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან სრულად გამოიყენონ პარტიის წესდება. უნდა მოეწყოს პარტიული ორგანიზაციების მიერ იმ ღონისძიებათა საკითხის პერიოდული განხილვა, რომლებიც მიღებულია კომუნისტებისა და უპარტიოების მიერ კრებებზე გამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების გამო.

პარტიული ორგანიზაციების, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ჩაუნერგონ მუშაკებს მაღალი პასუხისმგებლობის, იმისადმი მისწრაფების გრძნობები, რომ ყოველთვის და ყველაფერში დაიცვან სიტყვისა და საქმის ერთიანობა.



მარნეულის რაიონმა შეასრულა მარცვლეულის დამზადების წლიური გეგმა

მარნეული რაიონის მეურნეობებმა ვადამდე, 18 ივლისს შეასრულეს მარცვლეულის დამზადების წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 6.705 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.840 ტონა მარცვალი.

პეტროეულის აღებასა და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებაში თავი გამოიჩინეს: ყარაღლის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ვ. ჯაში), რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 1.100 ტონის ნაცვლად 1.313 ტონა მარცვლეული ჩაბარა, მარნეულის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ი. ფეფანოვი), რომელმაც 225 ტონით მეტი პურეული დაამზადა, ვიდრე წლიური დავალებით იყო გათვალისწინებული, მუღანლოს საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ი. ფეფანოვი), რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 700 ტონის ნაცვლად 872 ტონა მარცვლეული ჩაბარა, ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ი. ჯიქია) 245 ტონის გადაჭარბებით შეასრულა მარცვლეულის დამზადების წლიური გეგმა.

რაიონის მეურნეობები განაგრძობენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვასა და ჩაბარებას. (საქდესი).

მოსავლის აღება დაამთავრეს

ლაგოდეხი. (საქ. კორ.). სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძმა“ (თავმჯდომარე ივ. ყაველაშვილი) რაიონში პირველმა დაამთავრა თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება. კომბაინერთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობა ს. მათიანაშვილმა დაიჩაჟუთრა. 12 სამუშაო დღეში 220 ჰექტარი მომკა. ვალდებულება გადამეტებით შეასრულეს აგრეთვე მექანიზატორებმა ი. შუბითიძემ, გ. შიხაშვილმა და ს. ნიკოლიანმა.

კოლმეურნეობამ გადამეტებით შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმა. სათესლედ გადადებულია საჭიროზე მეტი ხორბალი. ამ დღეებში დაიწყებენ პურის შრომადღეებზე გაცემას.

ვარდისუბნის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ი. გოგეჯიშვილი) ხორბალი და ქერი 870 ჰექტარზე ეთესა. მკაზე 6 კომბაინი მუშაობდა. სამეგრელოს სსრ დამსახურებულმა მექანიზატორმა მაკარ მპეფლიძემ, რომელმაც 67 წელს გადაბიჯა, „სკ-3“ მარკის კომბაინით 10 სამუშაო დღეში 170 ჰექტარი მომკა ნაცვლად 100 ჰექტარისა. ბუნკერიდან 2.660 ცენტნერი მარცვალი გადმოტვირთა.

სილოსი — სიმინდისაგან

სილნაღი. ტიბაანის, ვაკირისა და ჯუბაანის კოლმეურნეობებმა დაიწყეს სილოსის დამზადება სიმინდის მწვანე მასისაგან. უკვე დასილოსებულია 300 ტონა.

სილნაღელმა მეშრომელებმა ვალდებულება იკისრეს პირუტყვისათვის ზელს 100 ათასი ტონა სილოსი დაამზადონ.

სილოსის დამზადება დაიწყო რაიონის სხვა კოლმეურნეობებშიც.

ა. ბოგილაშვილი.

ჩვენს ღიად საკითხზე

ბალტიის მეზღვაურებთან

რიგა, 19 ივლისი. (საქდესის კორ.). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. პელშე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ე. კალნბერზინი და ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. პ. რუბენი ესტუმრნენ ბალტიის ზღვის სამხედრო მეზღვაურებს. მათ დაათვალიერეს საბრძოლო ხომალდები.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს, აგრეთვე ლატვიის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ახლდნენ სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი, მომმე რესპუბლიკების, რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ქალაქებისა და ოლქების დელეგაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც საიუბილეო დღესასწაულზე ჩამოვიდნენ. დამსწრენი მათ გულთბილად ხვდებიან.

საზეიმო სხდომა გახსნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. პ. რუბენმა.

სიტყვა მოსსენებისათვის საბჭოთა ლატვიის 25 წლის სახელოვანი გზის შესახებ ეძლევა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ა. ი. პელშეს.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდა ა. ნ. კოსიგინი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

საბჭოთა ლატვიის წარმატებები, თქვა მან, მისი ღირსეული წვლილია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. ლატვიელ ხალხს ანდერძსა და მისწრაფებებს.

სოციალისტური ლატვია მტკიცე რწმენით მიდის სოციალური, ეკონომიური და კულტურული პროგრესის ფართო გზით. ლატვიის რესპუბლიკას მოეპოვება თანამედროვე სამეწარმეო კომპლექსი პროგრესული სტრუქტურით, რომელიც სულ უფრო გაუმჯობესდება და განვითარდება, შექმნის ასპარეზს ლატვიის მუშათა კლასის ოსტატობისა და ნიჭის შემოქმედებითი გამოყენებისათვის.

საბჭოთა სინამდვილემ ახე უცვალა ლატვიის სოფელს. მან დამცირებელი და უუფლებო ლარიბი გლეხი შეგნებულ და თავისუფალ მოქალაქედ აქცია.

ლატვიის პროლეტარიატი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ასრულებდა საპატიო მისიას, იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, კლასობრივი ექსპლოატაციის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში. პირველ ლატვიელ რევოლუციონერთა შვილებსა და შვილიშვილებს შეუძლიათ დღეს იამაყონ იმით, რომ მათი თავდადებული შრომით ხორცი ესხმება მათი მამა-პაპის მდიდარი ისტორიული და კულტურული ტრადიციები, რევოლუციური ბრძოლის ტრადიციები აქვს.

ლატვიის პროლეტარიატი რუსეთის პროლეტარიატთან ერთად ასრულებდა საპატიო მისიას, იყო თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, კლასობრივი ექსპლოატაციის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში. პირველ ლატვიელ რევოლუციონერთა შვილებსა და შვილიშვილებს შეუძლიათ დღეს იამაყონ იმით, რომ მათი თავდადებული შრომით ხორცი ესხმება მათი მამა-პაპის

საბჭოთა ლატვია 25 წლისაა

რიგა, 18 ივლისი. (საქდესი). ოპერისა და ბალეტის თეატრში დღეს გაიმართა ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს საზეიმო სხდომა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ჯარის ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად. სხდომა მიეძღვნა ლატვიაში საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის 25 წლისთავს.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში შემოდიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი, სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი, მომმე რესპუბლიკების, რუსეთის ფედერაციის მთელი რიგი ქალაქებისა და ოლქების დელეგაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც საიუბილეო დღესასწაულზე ჩამოვიდნენ. დამსწრენი მათ გულთბილად ხვდებიან.

საზეიმო სხდომა გახსნა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. პ. რუბენმა.

სიტყვა მოსსენებისათვის საბჭოთა ლატვიის 25 წლის სახელოვანი გზის შესახებ ეძლევა რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ა. ი. პელშეს.

საზეიმო სხდომაზე გამოვიდა ა. ნ. კოსიგინი, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

საბჭოთა ლატვიის წარმატებები, თქვა მან, მისი ღირსეული წვლილია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში. ლატვიელ ხალხს

ჟაკ დიუკლოს მადლობა

18 ივლისს თბილისიდან ყირიმში გაემგზავრა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრი ჟაკ დიუკლო მეუღლითურთ. მათ სამ დღეს დაჰყვეს საქართველოში.

აეროდრომზე ჟაკ დიუკლო და მისი მეუღლე გულთბილად გააცილეს ამხანაგებმა პ. ა. რუდინოვმა, დ. გ. სტურუამ, ი. ი. ლოლაშვილმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგემ დ. ბ. ლაშარაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინფორმაციის ბიუროს ინსტრუქტორ ნ. ბ. ბერიძემ, ფ. ბ. ბერიძემ, ბ. ბ. ბერიძემ, ბ. ბ. ბერიძემ, ბ

ᲕᲔᲠᲫᲚᲘᲡᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘ

ᲐᲣᲪᲮᲡᲔᲜᲘ, ᲓᲐᲐᲠᲜᲛᲣᲜᲔ, ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲔ

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ასეც ხდება: ეი პარტორგანიზაციის მდივანი, რომელმე პარტიული აქტივისტი მოუწოდებს კოლექტივს ამა თუ იმ ღონისძიების შესასრულებლად, მაგრამ ყოველთვის როი ეთმობა ხოლმე სათაადო ყურადღება იმ მთავარ საკითხს, რომ დაკარწმუნოთ ადამიანი ღონისძიების შესრულების აუცილებლობაში, მის მატერიალურ თუ მორალურ ეფექტიანობაში.

ადამიანთა დარწმუნება კი პარტიული მოღვაწეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდია. სწორედ მიზნის სიცხადეში დარწმუნებულ ადამიანებს, როგორც იტყვიან, შეუძლიათ „მთები შესძრახონ“, წარმატებით გადაჭრან ცხოვრების პასუხსაგები ამოცანები.

ამჟამად მარნეულის რაიონის მშრომელებს ბევრი, ძალიან ბევრი საზრუნავი აქვთ. წელს სახელმწიფოს უნდა მიპყიდონ 6.705 ტონა მარცვლეული, 4.275 ტონა თამბაქო, 4.750 ტონა ეთერზეთოვანი კულტურები, 6.857 ტონა ბოსტნეული, 1.536 ტონა ხორცი, 4.877 ტონა რძე, 1.092 ცენტნერი მატყლი...

ამ ციფრების რეალობად გადაქცევა კი დამოკიდებული სწორედ იმაზე, თუ როგორ მოვაწყობთ სოფლად პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, როგორ დავრაზმავთ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის.

ადამიანთა დარწმუნების საუკეთესო, ნაკადი საშუალებაა საგიტაციო-მასობრივი და პროპაგანდისტული მუშაობა. ამ საქმის უკეთ მოწყობის მიზნით ჯერ მოვიწვიეთ რაიონული პარტიული აქტივის კრება, სადაც განვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და ჩვენი ამოცანები. ამავე საკითხზე ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში გაიმართა ღია პარტიული კრებები. მშრომელებს ღრმად განვმარტათ პარტიის ცენტრალური კომიტეტის გეგმები სოფლის მშრომელების მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისა და საერთოდ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად. ამავე საკითხებს მიეძღვნა პროპაგანდისტებისა და აგიტატორების სემინარები და პარტიულ ორგანიზაციების მდივნების სკოლების მეცადინეობა.

დარწმუნების მეთოდის შემოქმედებითად გამოყენებამ თავისი შედეგი გამოიღო. რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს სოფლის მეურნეობის ყველა კულტურის თესვისა და დამუშავების გეგმები. მათ კარგა ხანი გაანაღდეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდის ნახევარი წლის დავალებები. ახლა დასასრულს უახლოვდება პურეულის მოსავლის აღება. ვადამდე შესრულდა მარცვლეულის დამზადების წლიური გეგმა. სახელმწიფოს უკვე მიეყიდა 6.840 ტონა მარცვალი. არსებობს ყოველგვარი გარანტია, რომ წელს წარმატებით შეასრულებთ სახელმწიფოსათვის სხვა საპოლო-სამეურნეო პროდუქტების მიწოდების გეგმებსაც, ამასთან მნიშვნელოვნად გაიზრდება სოფლის მშრომელთა მატერიალური შემოსავალი. ახლა რაიკომის, პირველადი პარტორგანიზაციების ამოცანაა ავუხსნათ, განვუმარტოთ ადამიანებს ამ საქმეში მათი ადგილი, მოვალეობა.

ეს იყო თებერვალში, კოლმეურნეობებში საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე ნატარების დღეებში... პარტიის რაიკომში სოფელ სადახლოდან სგულისხმო სიგნალები და საჩივრები მოვიდა.

— თუ ახლანდელი თავმჯდომარე კრებამ არ გადაირჩია, კოლმეურნეობაში არ ვიმუშავებთ, არ შეუძლია მას ამოდენა მეურნეობის მართვა, — ჩიოდა კოლმეურნეთა ერთი ნაწილი.

— ჩვენს კოლმეურნეობას მხოლოდ ახლანდელი თავმჯდომარე თუ უშველის, თორემ სხვისი ხელმძღვანელობით არ ვიმუშავებთ! — აცხადებდნენ ზოგიერთები.

ამ ამბავმა სერიოზულად ჩაგვაფიქრა ჩვენ, რაიონული კომიტეტის აპარატის მუშაკები. ვიდრე ადგილზე შევისწავლიდით მდგომარეობას, წინასწარ მოვითათბირეთ რაისაბჭოს აღმასკომისა და სოფლის მეურნეობის სამმართველოს მუშაკებთან ერთად.

ერთ-ერთმა მუშაკმა თქვა: იქ ორი კომუნისტია, წყალს რომ ამღვრევს — აბდულაევი და ბედიევი. ისინი დემაგოგიას ეწევიან ხალხშიო.

კოლმეურნეობაში გავიმგზავრეთ... ამკარად ჩანდა, რომ კოლმეურნეები ორ ჯგუფად იყო გაყოფილი.

მოვიწვიეთ პარტიული ორგანიზაციის კრება. კომუნისტების უმრავლესობამ მოითხოვა, კოლმეურნეობა საბჭოთა მეურნეობად იქნას გადაკეთებული, ხოლო ხელმძღვანელის საკითხი სოფლის საერთო კრებამ გადაწყვიტოსო. ს. აბდულაევი და კ. ბედიევი ამ აზრს წინააღუდგნენ, არ დაემორჩილნენ კომუნისტთა უმრავლესობის წინადადებას. სამეგრელოდ გადაწყდა, მაგრამ მაინც საჭირო იყო კომუნისტების ს. აბდულაევისა და კ. ბედიევის დარწმუნება. ამიტომ მათ ადგილზე რამდენჯერმე ვესაუბრეთ, პარტიის რაიონულ კომიტეტშიც მივიწვიეთ. განვუმარტეთ, რომ მათი შეხედულება არ იყო სწორი.

ამას წინათ ს. აბდულაევი და კ. ბედიევი პარტიის რაიკომში თვითონ მოვიდნენ და განაცხადეს:

— ჩვენ მართლაც რომ ვცდებოდით, ახლა უკვე შევიგენეთ ყოველივე. გთხოვთ დაგვეხმაროთ, რომ ამხანაგები მთლად უნდობლად ნუ მოგვეჭცევიან, მოსაღელად ჩაგვაბარონ ნაკვეთები და პირობის გაძლევთ, ორივე უხვ მოსავალს მოვიყვანთო.

რაღა გვეთქმოდა...

ადამიანთა აღზრდაში, დარწმუნებაში დიდი მნიშვნელობა აქვს პირად მაგალითს.

ამას წინათ პარტიის რაიონული კომიტეტის რეკომენდაციით ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად დაინიშნა გამოცდილი სპეციალისტი გ. ქათამაძე. უკვე 25 წელია იგი სოფლის მეურნეობის მუშაკია. საბჭოთა მეურნეობაში მთავარ აგრონომად მუშაობის დროს ყურძნის უხვი მოსავლის მიღებისათვის დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, ორჯერ იყო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილე მოსკოვში, ორივეჯერ მიღებული აქვს ბრინჯაოს მედალი. სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

ცხადია, ასეთი სპეციალისტის გამოჩენას სოფელში ძმაყოფილებით შეხვდნენ. მის სიტყვას პატივს სცემენ, უხდობიან, უჯერებენ. და აი ახლა საბჭოთა მეურნეობაში საუბაოდ ორჯერ მეტი მუშახელი გამოდის, ვიდრე წინათ. მეურნეობის დირექციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი გ. მინდიაშვილი) თავისი საქმიანობა იმით დაიწყეს, რომ შეიმუშავეს ღონისძიებანი რენტაბელური მუშაობისათვის. აქ გადაწყვეტილი აქვთ ვენახების კარგი მოვლა-პატრონობით და მოსავლის უდანაკარგოდ აღებით გააიაფონ პროდუქციის თვითღირებულება, მომგებიანი გახადონ თვითეული ჰექტარი ფართობი. საგულისხმოა ისიც, რომ წელს აქ ვალდებულება იკისრეს 200 ჰექტარი ვენახიდან ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერის ნაცვლად 100 ცენტნერი ყურძენი მიიღონ. ესეც, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობს მეურნეობის რენტაბელურად მუშაობას.

შრომითი აღმავლობა ამჟამად მარნეულის მებოსტნეობა-მერძეველობის საბჭოთა მეურნეობაშიც. აქაც ხელმძღვანელის პირადმა მაგალითმა, მისმა უხარმა — დაარწმუნოს ადამიანები, ბევრი კარგი რამ განაპირობა. მეურნეობის ახალი დირექტორი ვ. ჯაში არა მარტო კარგი ორგანიზატორია, არამედ კარგი პროპაგანდისტიც. იგი ხშირად ესაუბრება სოფლის მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მნიშვნელობაზე, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებებზე. მეურნეობის მუშაკებს სჯერათ თავიანთი ხელმძღვანელისა.

ავტორიტეტი, კოლექტივის წევრთა ნდობა განსაკუთრებით დამახასიათებელი უნდა იყოს თვითეული კომუნისტისათვის, მით უფრო პარტიული ორგანიზაციის მდივნისათვის. სწორედ ასეთი ნდობითა და ავტორიტეტით სარგებლობს სოფელ ჩანახჩის მიასნიკოვის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. ისრაელიანი. იგი მარტო თეორიულად როდი ეწევა სოფლის მშრომელების დარწმუნებას, არამედ პირადი მაგალითითაც ალაფრთოვანებს მათ. კომუნისტები კარგად ხედავენ, რომ მათი წინამძღოლი გვიან საღამომდე საკოლმეურნეო მეხლორშია და სიყვარულით შრომობს. ამიტომ ისინიც ცდილობენ სანიმუშოდ მოუარონ მათთვის ჩაბარებულ ნაკვეთებს, მოიყვანონ უხვი მოსავალი.

შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან აგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები გ. ულიხანიანი, ჰ. ჰასანოვი, ს. კარახანიანი.

რაკი პარტიული ორგანიზაციები, კომუნისტები ინიციატივას იჩენენ რაიმე საქმეში, ისინი ცდილობენ კონკრეტული ცხოვრებიდან აღებული მაგალითებით დაარწმუნონ თანამოსაქმენი და გაიყოლონ კიდეც.

ყარაღინის მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობენ კომუნისტები მ. ბაგიროვი, შ. ზეიდხანი, რ. სეიდოვი, თ. გუსეინოვი და მ. მუსაევი...

—ხომ კარგად გვახსოვს, — უთხრეს მათ ამას წინათ თავიანთ თანასოფლელებს, — ჩვენი პარტელი რომ მიღოლნერი კოლმეურნეობის სახელისათვის იბრძოდა? ეს იყო ძველად, მაშინ ეკონომიურად უმჯობესი კოლმეურნეობას. ახლა კი სრული შესაძლებლობა გვაქვს ბრიგადებიც კი ავამოძრავოთ ასეთი საჭელის მოსახვეტად.

კომუნისტების ამ ინიციატივას ფართოდ დაუჭირეს მხარი საბჭოთა მეურნეობაში. ჯერ შუა წელია და, ცხადია, ადრეა ლაპარაკი, მაგრამ წინასწარი ვარაუდით თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ წლის ბოლოსათვის. ბრიგადების უმრავლესობის შემოსავალი ასი ათასი მანეთი მაინც იქნება.

და როცა კომუნისტები ბრიგადათა ამ თაოსნობას იწყებდნენ, ისინი ფართოდ განუმარტავდნენ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს. აქვე მათ ციფრებითა და ფაქტებით დაარწმუნეს ისინი, რომ ამ პლენუმის დადგენილების განხორციელებით ერთიორად გაიზრდება მეურნეობის მუშაკთა ფულადი შემოსავალი.

ეს, თუ როგორ იყენებენ დარწმუნების მეთოდს, როგორც პარტიული მუშაობის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს, ნათლად ჩანს ალგეთის საბჭოთა მეურნეობის პირველად პარტიული ორგანიზაციის მაგალითითაც. პარტიულ ორგანიზაციაში (მდივანი ფ. რზაევი) 114 კომუნისტია. ახლა ყველანი აქტიურად მონაწილეობენ შრომითს საქმიანობაში. მაგრამ მათ გვერდით იყვნენ ისეთებიც, რომლებიც შრომას თავს არიდებდნენ. მ. ახმედოვი, მ. ჯაფაროვი, ნ. გასანოღლი ამ სამი-ოთხი თვის წინათ ფიზიკურ შრომას გაურბოდნენ. მას შემდეგ კი, როცა სოფლად ახლებურად მოეწყო პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, როცა პარტიულმა ორგანიზაციამ უკეთ გამოიყენა მშრომელთა დარწმუნების მეთოდი, მათ სრულიად შეცვალეს თავიანთი დამოკიდებულება საერთო საქმისადმი. ახლა ისინი აქტიურად შრომობენ და უხვ საშემოდგომო მოსავალსაც გვპირდებიან.

ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯებია. პარტიის მაონეულის რაიკომი, პირველადი პარტორგანიზაციები თავიანთ მუშაობაში მუდამ იხელმძღვანელებენ ამით, რომ ღრმად განუმარტონ მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის მომზადებული ამოცანები, დაარწმუნონ ისინი ამ ამოცანების გადაჭრის აუცილებლობაში, რითაც უფრო აამაღლებენ რაიონის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის პასუხისმგებლობას მნიშვნელოვანი საქმის წარმატებით შესრულებისათვის.

შ. ნემსაძე,
საქართველოს კპ მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი.

ᲡᲐᲛᲘ ᲡᲘᲓᲘᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲓᲐᲜ

1. ᲠᲝᲚᲘᲡ ᲛᲘᲘᲪᲚᲘᲐᲜ?

ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘ მოსწავლეთა ძველებური ეარ ისმის — რემონტი გაჩალდა, სკოლები ცდილობენ ახალ სასწავლო წელს მომზადებული შეხვდნენ. ყველა ამუურებს საქმეს, ყველას უნდა სხვას გაუსწროს, მაგრამ ცხინვალის სამშენებლო-სარემონტო კანტორა სულაც არა ჩქარობს, როცა იქნება, იქნებაო.

ცხინვალის პირველი რეაწლიანი სკოლის რემონტისათვის ზრუნვა ადრე დაიწყო სკოლის დირექციამ, მაგრამ სარემონტო კანტორის მიზეზით ჯერჯერობით ვერაფერს მიაღწია. სკოლამ თვითონ, საკუთარი ძალებით შეიღება, შეაკეთა მერხები, მაგიდები. მთავარი კი გასაკეთებელია — კედლის ღუმელები უნდა შეკეთდეს, სკოლის შენობის სახურავი დაზიანებულია, ამის გაკეთება სკოლის საკუთარი ძალებით არ ძალუძს, სარემონტო კანტორა კი ერთი პასუხით ისტუმრებს მას — ჯერჯერობით უნდა მოითმინონთ, მუშა-ხელი არა გვყოფნის და რა ვქნათო.

სკოლის რემონტისათვის გამოყოფილი 1.200 მანეთი ისევ ხელუხლებელია. ნუთუ ასე ძნელია მუშახელის გამოყოფა სკოლისათვის? როდის ეყოლება თავისუფალი მუშები ცხინვალის სამშენებლო-სარემონტო კანტორას?

Ე. ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲫᲔ,
მუშაორი, ცხინვალი.

2. ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ ᲭᲘᲐᲜᲣᲠᲚᲔᲑᲐ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘᲡ № 1 საბავშვო ბაღის შენობას კაპიტალური რემონტი უკეთდება. უკეთდებაო, ვამბობთ, მაგრამ ვაი იმ გაკეთებას. აგერ რამდენი ხანია ცენტრალური გათბობის მილების გასაყვანად გაანგრიეს ქუდლები. რადიატორებიც ჩამოჰკიდეს, მაგრამ ამ სამუშაოებს ბოლო არ უჩანს.

ამ ბაღის რემონტისათვის სამი ათასი მანეთია გამოყოფილი, თუმცა ორი თვე გავიდა და ჯერ თანხის ნახევარიც არ არის ათვისებული.

საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ახლა ჯავაში ისვენებენ. ბაღის გამგე ნ. სანაკოევა კი ყოველ დილით, უთენია მიდის ბაღში — შეიძლება მუშები მოვიდნენ და აქ დავხვდეო, მაგრამ...

თორმეტ საათამდე ბაღში ელის სანაკოევა მუშებს, მერე სამშენებლო კანტორაში მიდის, იქნებ როგორმე ოსტატები გამომყოლონო, მაგრამ „ბეღი არ ულიმის“ — ყოველთვის მარტოა ბრუნდება.

შენობა შიგნით და გარეთ შესათვალიერებელია, ცენტრალური გათბობის სამუშაოების ნახევარი გასაკეთებელია. პირველ სექტემბრამდე არც იმდენად დიდი დროა დარჩენილი. რემონტი თუ ასეთი ტემპით გაგრძელდა, იქნებ მეორე სექტემბრამდეც არ მთავრდეს.

Ე. ᲙᲐᲮᲣᲚᲐᲫᲔ,
მუშაორი, ცხინვალი.

3. ᲠᲐᲢᲝᲛ ᲐᲠ ᲩᲥᲐᲠᲝᲑᲗ, ᲮᲐᲕᲔᲚᲔᲑᲝ?!

ᲯᲐᲕᲘᲡ რაიონის მთელ რიგ სკოლებში, როგორც გამოირკვა, სარემონტო სამუშაოები თუ მიშენება ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ხოლო ზოგიერთ სკოლაში ეს საქმე სრულიად მივიწყებულია.

მაგალითად, გუფთის რვაწლიან სკოლაში მეორე წელია ჭიანურდება მისაშენებელი სამუშაოები, ამ ობიექტისათვის გამოყოფილი თანხებიდან პირველი ნაგებობისათვის ნახევარიც არ იყო ათვისებული. ასევე ჭიანურდება ჯავის საშუალო სკოლის ცენტრალური გათბობის სამუშაოებიც.

კიროვის საშუალო სკოლაში შეჩერებულია მასწავლებელთა საცხოვრებელი ბინის გარდამავალი მშენებლობა და სკოლის კაპიტალური რემონტი, რომლისათვისაც ჯავის განათლების რაიონულმა განყოფილებამ ივნისის პირველ რიცხვებში საჭირო თანხებიც ჩაურიცხა სამხრეთ ოსეთის საოლქო სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს. ეს უკანასკნელი კი საქმეს ხელს არ ჰკიდებს, უარესი მდგომარეობაა ყუმუღთის საშუალო სკოლაში. ხარჯთაღრიცხვით ამ სკოლის კაპიტალურ რემონტზე 3.370 მანეთი უნდა ბალანსზე, მაგრამ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს ეს ფულიც ვერ ამოუღია. ეს ფული ბანკში ანგარიშზე ალბათ ბალანსზე ასეთ ფულ-ანგარიშებზე ბანკი ანგარიშებს ერიცხებოდეს, ბანკი ამ ფულს ბანკიდან ვერ ამოიღებ

კინოფესტივალის ორბიტაზე

ისტორიის სიმართლე და მანჭვა-გრეხა

მოსკოვი, 16 ივლისი. (საკადესი). ჩეხოსლოვაკური ფილმი „თავდასხმა“ შეიქმნა უკანასკნელი ომის ნამდვილი დოკუმენტებისა და ნამდვილად მომხდარი ამბების საფუძველზე. მაყურებლთა ინტერესი ამ ფილმისადმი აისახა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაციის პრეს-კონფერენციაზე, რომელიც დღეს გაიმართა.

ფილმის დამდგმელმა ი. სეკვერსმა ილაპარაკა ამ კინოფილმის შექმნის ისტორიაზე.

—ფილმს საფუძვლად დაედო ახალგაზრდა ჟურნალისტი ცნობები, რომლებიც ლონდონის არქივებიდან მოვიღეთ ჰიტლერულ გაულიტერ ჰაიდრიხზე თავდასხმის შესახებ, — თქვა რეჟისორმა. — ჩვენი ყურადღება მიიპყრო პრობლემის ორმა მხარემ. უწინარეს ყოვლისა ამ ადამიანთა პირადმა გმირობამ, რომლებმაც მოკლეს ჰაიდრიხი და რამაც დიდი გავლენა მოახდინა გერმანელთა შემოსეულით დათრგუნულ ხალხზე. მაგრამ არის საქმის მეორე მხარეც. ეს ის გახლავთ, რომ ჰაიდრიხის მოკვლას მოჰყვა გერმანელთა მრავალი აქცია, რამაც დიდი ხნით ჩაახშო ჩეხოსლოვაკიაში დაწყებული წინააღმდეგობის მოძრაობა. სწორედ მაშინ დაბოცეს ათასობით ჩვენი თანამემამულე, დაწვეს ლიდიცე, სადაც როგორც გერმანელები ამტკიცებდნენ, იმალებოდნენ პარაშუტისტები. სწორედ ჰაიდრიხის მკვლელთა ადამიანთა მოვალეობისა და სინდისის ამ კონფლიქტმა, შიიპყრო მთელი ჩვენი ყურადღება.

ჩეხოსლოვაკიელმა კინოშოლეაწეებმა თქვეს, რომ ფილმს დიდი წარმატება ჰქონდა ჩეხოსლოვაკიაში, რომ იგი 140 ათასმა მაყურებელმა ნახა. ფილმს „ჩეხოსლოვაკიის ყოველწლიურ მშრომელთა ფესტივალზე“ კინომაყურებლის პრიზი მიანიჭეს. უფროსი თაობის ადამიანებმა გულთბილად მიიღეს ფილმი, ვინაიდან, როგორც მათ აღნიშნეს, იგი აღვიძებს წარსულის მოგონებებს...

სხვა პრობლემებმა მიიპყრეს ინგლისელ კინემატოგრაფისტთა ყურადღება. მათი მისწრაფებების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ რეჟისორ დ. ლეზინგერის საკონკურსო ფილმით „ძარფუსა“. როგორც ფილმის დამდგმელმა რეჟისორმა შლეზინგერმა აღნიშნა, მან ამოცანად დაისახა შეესწავლა თანამედროვე ქალაშვილის ხასიათი, რომელსაც სურს მხოლოდ ერთი — ყველაფერი იგემოს ცხოვრებაში, შეესწავლა ასეთი ქალაშვილების ყოფაქცევა, მათი რეაქცია ცხოვრებაზე. რეჟისორის აზრით, ფილმში აშკარად იგრძნობა ირონიული დამოკიდებულება ფილმის გმირისადმი. მაგრამ კითხვები, რომელიც ჟურნალისტებმა დასვეს, უარყოფენ ბატონ შლეზინგერის ამ მტკიცებას. ფილმის ბეგრმა მაყურებელმა ვერ იგრძნო მისი ირონიული ქვეტექსტი.

შეკვეთები ფილმებზე

„ომი და მშვიდობა“ და „ჯარისკაცის მამა“

ფირმა „პეგასუს-ფილმის“ მფლობელი ბ-ნი ს. გამბაროვი პირველად რიდია მოსკოვის კინოფესტივალზე.

— შემიძლია „საიდუმლოდ“ განგიცხადოთ, — უთხრა მან ჩვენი გაზეთის სპეციალურ კორესპონდენტს, — რომ ჩემი ფირმა მოსკოვის ფესტივალზე ვარაუდობს ბევრი ფილმი შეიძინოს...

— მაინც რამდენი?

— ყოველ შემთხვევაში შევიძენთ 20-25 ფილმს, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, სერგეი ბონდარჩუკის „ომსა და მშვიდობას“. უკვე მივაღწიე „სოვექსპორტფილმთან“ შეთანხმებას ამ შესანიშნავი ფილმის შეძენაზე. ამასთანავე შევიძინე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კინოთეატრებისათვის და დასავლეთ ბერლინისათვის კიდევ ერთი საუკეთესო საბჭოთა ფილმი — „ჯარისკაცის მამა“...

„სოვექსპორტფილმის“ სამმართველოში გვაცნობეს, რომ მსოფლიოს მრავალმა ათეულმა კინოფირმამ გამოთქვა სურვილი შეიძინოს ფილმი „ომი და მშვიდობა“. ასეთი შეკვეთების რიცხვი დღითიდღე იზრდება, დ, რა თქმა უნდა, ეს შეკვეთები შესწავლის პროცესშია. ჟურჟურობით „სოვექსპორტფილმმა“ კინოფილმი „ომი და მშვიდობა“ მიაყიდა ფირმა „პეგასუს-ფილმსა“ და ერთ-ერთ იაპონურ ფირმას.

(„ლიტერატურნაია გაზეტა“).

ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბერძენიშვილი

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ნიკოლოზ (ნიკო) ალექსანდრეს-ძე **ბერძენიშვილი** — ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნიკო ბერძენიშვილი დაიბადა 1894 წელს სოფელ გოგოლეთსუბანში (ჩოხატაურის რაიონი). მოწაფეობის წლებში ახლოს იდგა რევოლუციურ მოძრაობასთან, რამაც გავლენა იქონია მომავალი ისტორიკოსის მსოფლმხედველობის ნაწილობრივ ბალ. ხალხის სიყვარულმა ნიკო ბერძენიშვილს ხელი მოაკიდებინა ქართველი ერის მდიდარი ისტორიის შესწავლისათვის. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის წლებში ნიკო ბერძენიშვილმა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა ისტორიკოსის დიდი სკოლა, აღიჭურვა ისტორიულ-კვლევა-ძიების მეცნიერულ-კრიტიკული მეთოდოლოგიით.

ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო საქმიანობა გამოსცა დაეთხვა ამ წლებს, როდესაც ნიჰილიზმის წინააღმდეგ, მარქსიზმის გამყალბებელ-ვულგარიზატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში ეხმარებოდა მარქსისტული ისტორიოგრაფია. ივ. ჯავახიშვილის ნიჭიერი მოწაფე ნიკო ბერძენიშვილი სიმონ ჯანაშიასთან ერთად ამ მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა. სიმონ ჯანაშიამ და ნიკო ბერძენიშვილმა ქართული ისტორიული მეცნიერება განვითარების ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანეს. წინ წასწიეს და ახლებურად, მარქსისტულად გააშუქეს ქართველი ხალხის გმირული წარსულის საკვანძო საკითხები.

ივ. ჯავახიშვილთან და ს. ჯანაშიასთან ერთად ნ. ბერძენიშვილმა დაწერა „საქართველოს ისტორია“, რომელიც იყო მარქსისტული სახელმძღვანელოს შექმნის პირველი წარმატებითი ცდა. ამ წიგნზე აღიზარდა ჩვენს სკოლებში მთელი თაობა და იგი ქართულ ისტორიოგრაფიაში შევიდა, როგორც განსაკუთრებული მოვლენა.

განსვენებულის კვლევის სფერო მეტად ფართო იყო. არ არის ისტორიული მეცნიერების თითქმის არც ერთი დისციპლინა, რომელსაც არ შეხებოდეს მისი მადლიანი კალამი. დიდია ნიკო ბერძენიშვილის დამსახურება არქეოლოგიის, წყაროთმცოდნეობისა და განსაკუთრებით ისტორიული გეოგრაფიის დარგში.

ს. ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ ნ. ბერძენიშვილი სათავეში დაუდგა საქართველოს ისტორიულ ფრონტს. იგი არ იშურებდა ძალსა და ენერგიას ისტორიკოსთა ახალგაზრდა თაობის აღსაზრდელად. მან გამოზარდა ქართველ ისტორიკოსთა მთელი თაობა, რომელიც დღეს წარმატებით სწავლობს ქართველი ხალხის ისტორიულ წარსულს, მისი ინიციატივით და მის მიერ დასახულ იდეებზე იწერებოდა და იწერება მეცნიერული ნაშრომები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან საკითხთა გამო; მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა საქართველოს ისტორიის უმაღლესი და საშუალო სკოლების ახალი სახელმძღვანელოები.

დაძაბულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად ნიკო ბერძენიშვილი წლების მანძილზე ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას — კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რიგ პედაგოგიურ ინსტიტუტებში; ხელმძღვანელობდა ასპირანტებს. განსვენებულმა დიდი მუშაობა გასწია მეცნიერების განვითარების საქმეში. მისი სახელი განუყოფლად დაკავშირებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან, რომლის წევრადაც იგი აირჩიეს 1944 წელს. 1951-1956 წლებში ნ. ბერძენიშვილი ... ბერძენიშვილი ... ზიდენტი. 1946-1956 წლებში ნ. ბერძენიშვილი ... ...

შეხვედრა მოცარტთან

სეზონის გოლო პრემიერა თბილისის საოპერო თეატრში

ბაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მომდინარე სეზონი ახალი დადგმით, მოცარტის ოპერა „დონ-ჟუანით“ დამთავრდა. მოცარტი მუსიკალურ ხელოვნებაში ქცეულია კლასიკური სრულყოფის უმაღლეს ეტალონად. მასთან „შეხვედრა“ პროფესიონალი მუსიკოსის დიდ პასუხისმგებლობასა და ძალაზე შემოქმედებითს დაოსტატებას მოითხოვს. ამავე დროს მოცარტი მუსიკოსთა აღმზრდელიც არის. ამიტომ არის ასე ძლიერ დამკვიდრებული „მოცარტიანის“ ტრადიცია ევროპის ყველა საოპერო თეატრში.

ამ ტრადიციას ჩვენში ახლა ჩაეყარა საფუძველი და თბილისის ოპერის თეატრის ახალი დადგმა ამ მხრივაც იწვევს დიდ მოწონებას. მართალია, თეატრმა სტარტი აიღო გენიალური კომპოზიტორის ურთულესი საოპერო ნაწარმოებით, რისი დაძლევაც დასაწყისში საკმაო ეჭვს ბადებდა და ერთგვარ მიზანშეუწონლობას მიეწერებოდა, მაგრამ განხორციელებულმა სპექტაკლმა თეატრის მთელი კოლექტივის სერიოზული, შინაარსიანი და პიშამრიტად შემოქმედებითი წვლილ აღსავსე მუშაობა დაგვანახვა. შეიძლება ზოგიერთ საკითხში გამოვიდათ რეჟისორს, დირიჟორს, წუნი დავდოთ ცალკეულ შემსრულებელს. რაც სავსებით დასაშვებია ასეთი რთული და მრავალპლანიანი პარტიტურის განხორციელების დროს, მაგრამ მთავარია ის, რომ სპექტაკლი საინტერესო გამოვიდა.

აღნიშნული სპექტაკლის უპირველესი ღირსება ის გახლავთ, რომ ქართველ მსმენელს შესაძლებლობა მიეცა საკუთარ თეატრში მოესმინა კლასიკური მუსიკის შედევრი, გენიალური ქმნილება. რომელიც გვასწავლის სილამაზის, სინატიფისა და ჰარმონიულობის განცდას. მთავარია ისიც, რომ სპექტაკლი შემსრულებელთა პროფესიული სრულყოფის იმპულსატორი გახდა. მოცარტის ოპერის „მაგნიტურმა ველმა“ ყველა მიიზიდა. თვითეულ მხატვრულ სახეს რამდენიმე შემსრულებელი გამოუნაწილა და ყოველი მათგანი დამეთანხმება იმაში, რომ „დონ-ჟუანზე“ მუშაობამ მას ნამდვილი შემოქმედებითი სიხარული განაცდევინა და სარგებლობა მოუტანა. ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფერო შექმნეს სპექტაკლის ავტორებმა. განსაკუთრებით მინდა გამოვყო დირიჟორი ჯ. კახიძე, რომელმაც პერსპექტიული და საინტერესო მუსიკოსის ავტორიტეტი კიდევ უფრო აიმაღლა ამ რთული პარტიტურის დაძლევით.

როგორია სპექტაკლის საერთო მუსიკალური დონე? დაძლეულია თუ არა ის დაბრკოლება, რომელიც მოცარტის სტილის შესასტავლის ინტერპრეტაციას ითვალისწინებს? დიახ, დაძლეულია, მაგრამ ამ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რომლებიც რეალურად ჰქონდათ ჩვენს შემსრულებლებს, მოცარტის სტილის გახსნის პრობლემა დღესაც „აქილევსის ქუსლია“ ევროპულ თეატრებში, სადაც გენიალური კომპოზიტორის ტრადიცია საუკუნეებით იზომება. ჩვენში კი, ოპერის სოლისტებზე რომ არაფერი ვთქვათ, ორკესტრის წევრების „ნაცხობობა“ მოცარტის მუსიკასთან სტუდენტური ასაკით ამოიწურა. მაგრამ ის დრნე, რომელსაც ორკესტრმა უკანასკნელ სპექტაკლზე მიაღწია, თავის შესაძლებლობებს აღემატებოდა. ეს კი, გვიმეორებს, რომ დრო და ენთუზიასტ დირიჟორთან სერიოზული მუშაობა თავის ნაყოფს გამოიღებს. დღეისათვის მიღწეულ საორკესტრო ხმოვანების სიმწყობრეს, სისუფთავეს, მხატვრული სახის სიმფონიური გაზრების სწორ ხაზს და ნაწილობრივ თეატრალობას (ეს დირიჟორის დიდი დამსახურებაა) შემდგომში დაამატება ის სიმსუბუქე, ელასტიურობა და ბრწყინვალება, ურომლისობა დღეს შესამჩნევი ხდება.

არანაკლები მუშაობა გასწია დირიჟორმა ფაქრ მუსიკოსთან, კონცერტმეისტერ ვაჟა ჩაჩავასთან ერთად ვოკალში მოცარტისეული ანსამბლურობის ურთულესი ამოცანის გადასაჭრელად და თუ ზოგჯერ საერთო ხმოვანებიდან მოჰპარბებულად „გამოსტის“ დონა-ანას ხმა (სოლისტი ც. ტატიშვილი) ან დაბალ რეგისტრში იკარგება ლეონორას რეპლიკების ვნებიანობა (სოლისტი ო. კუნზეცოვა) და დონ-ჟუანის (შ. კიკნაძე, რ. კაკაბაძე) რეჩიტატივების მოქნილობა — ეს ცალკეულ შემსრულებელთა „ცოდვებია“, რომელთა „მონანიება“ დროს მოითხოვს.

სპექტაკლის მომავალი ბედი დონ-ჟუანის როლის შემსრულებლის პრობლემას უკავშირდება. დონ-ჟუანს ორი ინტერპრეტატორი ჰყავს. მაგრამ ჯერჯერობით ვერც ერთი მათგანი ვერ აძლევდა დამაკმაყოფილებელ სახეს. პასინკოვთან მუშაობამ შოთა კუნაძეს კოლოსალური პროფესიული ნახტომი მოუტანა, მაგრამ გარეგნული მომხიბვლელობისა და მუსიკალობის მიუხედავად მის დონ-ჟუანს აკლია სიმსუბუქე, სილაღე, თავისუფლება, რენიტენტობის გამომსახველობა, მეტყველების ინტონაციური სისუფთავე და, რაც მთავარია, ფინალური კულმინაციის დრამატული სიძლიერე. რეზო კაკაბაძეს, მიუხედავად ნაკლები ხარვეზებისა, ეტყობა საერთოდ როლზე არასაკმარისი მუშაობა, ხოლო სცენიურ მოქმედებაში მსახიობს ზოგჯერ გემოვნებაც ღალატობს. მიუხედავად ამისა, რეზო კაკაბაძე უფრო პერსპექტიულ დონ-ჟუანად შეიძლება მივიჩნიოთ და, ვფიქრობ, მასთან მუშაობის გაღრმავება სასურველ შედეგს მოიტანს.

დონ-ჟუანის სახის სისუსტის გამო სპექტაკლის წამყვან გმირად გადაიქცა მისი მსახური — ლეპორელოს ბრწყინვალე შემსრულებელი ი. შუშანია, რომელსაც მაზეტოს როლის ასეთსავე მომხიბვლელ შემსრულებელთან თ. ლაფერაშვილთან ერთად სპექტაკლში შეაქვს სიცოცხლის ტონუსი.

ის ანსებითი პრეტენზია, რომელიც რეჟისორის მისამართით მიდა ვთქვა, შეეხება ქალთა პერსონაჟებსა და ნაწილობრივ ოპერის ფინალურ გადაწყვეტას. ე. პასინკოვს მთელი სპექტაკლი გადაწყვეტილი აქვს სიმბოლურობის ჭრილში. მისი დონ-ჟუანი და სხვა გმირები ცხოვრებიდან აღებული ხასიათები და მათ მიერ შექმნილი მახვილ. სიტუაციები კი არ არის, არამედ პირობითი სახეებია, რომლებიც გაითამაშებენ ჩვენთვის კარგად ცნობილი გმირის ცხოვრებას და ყოველი საკვანძო მომენტის შემდეგ ტრადიციული რევერანსით თითქოს გვეუბნებიან, ჩვენ მსახიობებმა, აი ასე წარმოგიდგინეთ დონ-ჟუანის ისტორიაო. შესაძლებელია რეჟისორულ ნახაზში მოცემული ასეთი ხშირი „ცომცომი“ სცენურ პირობითობისა და რეალობის შორის იწვევდეს ამ ერთფეროვნებას, რომელიც სცენაზე ხანდახან თავს გვაგრძნობინებს. იმავე მიზეზით მუხრუჭდება მოქმედების ტემპი, ნელდება ფინალის დრამატული კულმინაციისაკენ მიზანსწრაფვა.

შესაძლოა პასინკოვს უფრო მოეგო, მოცარტის მიმართ რომ უფრო ფრთხილად გამოეყენებინა თანამედროვე რეჟისურაში დამკვიდრებული ზემოაღნიშნული ხერხი. ამის შედეგად შედარებით სუსტად გამოიყურება ქალთა ტიპები, რომლებსაც მოცარტი, მათშორ ერთ-ერთი რომელიმე ხასიათის ხაზგასმით უპირისპირებს დონ-ჟუანის „პოლიტონალურ“ სახეს. ეს შტრიხი განზოგადების სიმაღლეზე აჰყავს ახატვარ ს. ვირსალაძეს. მოცარტის მიხედვით, ღირსება, შურისძიება, სევდა და კეკლუცი გლეხი ქალის გულუბრყვილობა (დონა-ანა, ელვირა, ცერლინა) მკვეთრად ემიჯნება ერთმანეთს, რაც სცენაზე სათანადო ხორცშესხმას ვერ პოულობს. მართალია, დრამატული სოპრანოს ტემბრის შეტანამ დონა-ანას მეტი სიმახვილე მისცა, მაგრამ საერთო ნახაზში ქალთა ტიპები მოცარტისეულ ჩანაფიქრს შორდებიან. ცტატიშვილი — დონა-ანა, მიუხედავად ბრწყინვალე ვოკალური მასალისა და საკმაო წარმატებისა, ოსტატობის მხრივ ჯერ კიდევ დახვეწას მოითხოვს, ვოკალურად ბრწყინვალედ დამუშავებულ კუნზეცოვას ელვირას ესაჭიროება მეტი ექსპრესია, ხოლო ნ. ტიღუშის მომხიბვლელ ცერლინაში რეჟისორს რატომღაც უფრო გაჭნილი კოკეტიკა ნაშნები აქვს ხაზგასმული, რასაც ოპერაში არასაპერო ოპერეტულ-ვოდევილური შტრიხი შეაქვს. სპექტაკლზე შემდგომი მუშაობა ქალთა ტიპაჟების დახვეწასაც უნდა შეეხოს.

რაც შეეხება ფინალს, მისი დღევანდელი სახე დავას არ იწვევს, მაგრამ სასურველი იყო ოპერის დამთავრება ფინალური სექსტეტისა და უტყვი სცენების გამოუყენებლად. ისინი სპექტაკლს არაფერს მატებენ. ამით გავიზიარებდით თვით მოცარტის იდეურ ჩანაფიქრს, რომლის მიხედვით ფინალში არა გაკიცხვის, არამედ დონ-ჟუანის მჩქეფარე ცხოვრების აღმნიშვნელი მაჟორული ტონალობა მტკიცდება.

მოცარტის „დონ-ჟუანის“ ქართული ინტერპრეტაცია მისაღები და საინტერესოა. ეს ისეთი სპექტაკლია, რომელიც წარმოდგენიდან წარმოდგენამდე დაიხვეწება და ფართო მსმენელებში დიდ სიმპათიასა და მოწონებას მოიპოვებს.

ნანა ქავთარაძე.

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლ „დონ-ჟუანიდან“. წინა პლანზე დონ-ჟუანი — შ. კიკნაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

„ნაკაღულმა“ გამოსცა

ნატალია ზაბილა — „ყატრუსიას ცოყვი“, მოთხრობა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვთათვის. თარგმანი თ. თეთრაძისა. რედაქტორი ლ. თურმანიძე. მხატვარი შ. ცხადაძე. გვ. 24, ფასი 8 კაპ.

ა. ალტაევი — „რაფაელი“ (სერიიდან „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“). თარგმანი გულნარა ბუთხუზოსი. რედაქტორი ლ. ცაგარეიშვილი, მხატვარი დ. დუნდუა. გვ. 140, ფასი 49 კაპ.

ო. ლორთკიფანიძე — „ფედიასი“ (სერიიდან „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“). რედაქტორი ა. ბრეგაძე, მხატვარი დ. დუნდუა. გვ. 76, ფასი 29 კაპ.

ვ. ძიძიგური — „გზები და ადამიანები“ (მოგონებანი). რედაქტორი ელ. უბილავა, მხატვარი დ. დუნდუა. გვ. 230, ფასი 55 კაპ.

ბენო თათარიშვილი — „ყაცი-ლამპარი“ (ნარკვევი „მამილუკის“ ავტორზე). რედაქტორი ლ. გოგოხია, მხატვარი ო. ეარეარიძე. გვ. 72, ფასი 15 კაპ.

შოთა ძიძიგური — „ნიკო მარი — ქართული კულტურის მკვლევარი“. რედაქტორი შ. დარახველიძე, მხატვარი ჯ. ყაველაშვილი. გვ. 106, ფასი 31 კაპ.

მდინარე ხობისწყალის ხეობა.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ო. პროკოპენკო და ი. კავსაძე — სსრ კავშირის ჩემპიონები

ნოგინსკის ტრეკზე მოტოციკლების გუგუნი შეწყდა, ამოიწურა შეუპოვარი ბრძოლა ერთსაათიან სალიდერო ველორბოლაში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე.

სტარტი აიღო უძლიერესმა ოცდარვა წყვილმა, ფინალურ შეჯიბრებას კი მხოლოდ რვა წყვილი შეჩრა.

და აი გასულ კვირადღეს შედგა გადამწყვეტი შეხვედრები. წოლისყრით მეტოქენი განლაგდნენ განუთვნილ გზებზე. ფინალისტთა შორის იყვნენ თბილისელი დინამოელები ოლეგ პროკოპენკო და ირაკლი კავსაძე (ლიდერი). ბრძოლის დაწყებიდანვე ველოსიპედისტებმა მაღალი ტემპი განავითარეს. მესამე წრეზე ი. ლაპტევმა გაუსწრო მ. მარკოვს და სათავეში ჩაუდგა რბოლას. ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. მაგრამ თავი იჩინა მოახლოებული ფინიშის სიმძაფრემ. 33-ე წრეზე მ. მარკოვი თვალსაჩინოდ ჩამორჩა ლიდერს, მას ხხვებმაც გაუსწრეს და იგი ბრძოლას გამოეთიშა. ამის შემდეგ, როდესაც ფინიშამდე 10 წრე დარჩა, შეჯიბრებას კიდევ ოთხი წყვილი გამოაკლდა.

ახლა საპრიზო ადგილებისათვის იბრძოდა სამი წყვილი. ესენი იყვნენ: ი. ლაპტევი — ვ. დომბრომსკი, ო. პროკოპენკო — ი. კავსაძე და ნ. კოზუბენ — გ. ტრავკინი. 45-ე წრეზე ი. ლაპტევი შეეცადა უკან ჩამოეტოვებინა ნ. კოზუბენი. მაგრამ სრულიად მოულოდნელად უჩვეულო სისწრაფე განავითარეს თბილისელებმა ო. პროკოპენკომ და ი. კავსაძემ და გაუსწრეს ორივე მეტოქეს. ეს სისწრაფე ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ბოლომდე შეინარჩუნეს და პირველად გახდნენ სსრ კავშირის ჩემპიონები. ერთ საათში მათ გაიარეს 71 კილომეტრი და 250 მეტრი. ორი წრით გაუსწრეს ვერცხლის მედალისტებს ი. ლაპტევსა და ვ. დომბრომსკის. ბრინჯაოს მედლები ხვდათ ნ. კოზუბენსა და გ. ტრავკინს.

ოლეგ პროკოპენკოსა და ირაკლი კავსაძის წარმატება დამსახურებული იყო. ისინი შვიდი წელია იბრძოდნენ გამარჯვების კვარცხლბეკზე ასვლისათვის, იუვნენ ჩემპიონატის პრიზიორებიც, მაგრამ სასურველ შედეგს მხოლოდ წელს მიაღწიეს.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს არმიელმა სპორტსმენებმა. მეორე ადგილი დაიკავა „ტრუდმა“, მესამე — „ბურევესტნიკმა“.

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონები. სალიდერო ველორბოლაში — მარჯვნიდან — ო. პროკოპენკო და ი. კავსაძე (ლიდერი).

სპორტული ქრონიკა

● **კვირას** კიევში დაიწყო საკავშირო პროფკავშირული სპარტაკიადის მრავალდღიანი ველორბოლა. სპორტსმენებმა უნდა გაიარონ 2.000-ზე მეტი კილომეტრი. პირველ ეტაპს წარმოადგენდა **კიევი-ჟიტომირი** (135 კილომეტრი). ფინიშთან პირველი მივიდა **ვ. ბორკუნოვი** (რსფსრ, 2 საათი, 55 წუთი და 34 წამი). გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვა რსფსრ ველომრბოლთა კოლექტივმა.

● **ბასულ** კვირადღეს გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში. **აშხაბადის „სტროიტელმა“** დაამარცხა **ვინიცის „ლოკომოტივი“** 2:1, **სვერდლოვსკის „ურალმაშმა“ — დუშანბეს „ენერგეტიკი“** 2:0. სტურნირო ცხრილში 19 თამაშიდან 26 ქულით პირველი ადგილი უჭირავს **სვერდლოვსკის „ურალმაშს“**.

● **მოსკოვში** დამთავრდა ჭაბუკთანამედროვე ხუთკიდილთა საკავშირო ასპარეზობა. პირველი ადგილი დაიკავა მოსკოველმა **ვ. პარამონოვმა.** გუნდურ პაექრობაში გაიმარჯვეს მოსკოვის ჭაბუკმა სპორტსმენებმა.

კომუნისტი
სპორტი

ეს საინტერესოა!

ციხეფრი ვეშაპი... გამოფენისათვის

ამ დღეებში ვლადივოსტოკში ვეშაპსანადირო ფლოტილიის „სოვეტსკაია როსიას“ ერთი მცურავი ბაზიდან ხმელეთზე გადმოიტანეს გიგანტური ციხეფრი ვეშაპის ჩონჩხი. საბჭოთა ვეშაპმონადირეებმა იგი მოკლეს ანტარქტიკის წყლებში სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დაკვეთით. ციხეფრი ვეშაპის მოკვლის უფლება გასცა სსრ კავშირის თევზის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტმა.

ციხეფრი ვეშაპი ყველაზე დიდი ამფამად დედამიწაზე ბინადარ ცხოველთა შორის. ზღვის ამ უიშვიათეს გიგანტებზე ნადირობა აკრძალულია. ვლადივოსტოკში ჩამოტანილი ვეშაპი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. მისი ჩონჩხის ფონა 30 ტონამდე აღწევს, ხოლო სამრთო ფონა 123 ტონას შეადგენდა. ეს თითქმის 40 სპილოს წონას უდრის.

გადეში... ზღვის ლომი

ლიტველი მეთევზეები სამხრეთ ათრაკის ნაპირებთან ამყოფებოდნენ. ამჯერად მათ განსაკუთრებით სწყალობდათ ბედი. ბადის ერთი ამოღებით გემბანზე ამოჰქონდათ სამას ფუთზე მეტი ქაშაყი.

ერთხელ, როდესაც „პერსეუსი“ გემბანზე ბადე ასწიეს, შიგ ქაშაყის ნაცვლად აღმოჩნდა... ზღვის ლომი. ასეთი შემთხვევა არასოდეს არ ყოფილა.

მოულოდნელი სტუმარი გემზე ერთ თვეზე მეტს ხანს ამყოფებოდა. ზღვის ამ მოუსვენარ მკვიდრს შეფობას უწევდა ტექნოლოგი ალვის დაუგელა. ლომს შეუქმნეს ყველა პირობა. მაგრამ ეკიპაჟის „შტატგარეშე“ წევრმა „შამშილობა გამოაცხადა“, ერიდებოდა ადამიანებთან შეხვედრას, ჯარგა ხნის შემდეგ დაუმეგობრდა ალგისს და სხვა მეთევზეებს, რომლებიც მას ხელით აკმევდნენ დღეში 10 კილოგრამ თევზს — ასეთი იყო მისი რაციონი.

როდესაც გემი ნაპირს მიადგა, უჩვეულო მგზავრი ავტომანქანაში „გადაჯდა“. ზღვის ლომი, როგორც მოსალოდნელი იყო, სტუმარმოყვარულად მიიღეს კაუნასის ზოოპარკში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქების ქვემოთ ჩამოთვლილ უმაღლეს სასწავლებლებში

1. მოსკოვის ენერგეტიკულ ინსტიტუტში: ჰიდროენერგეტიკული მოწყობილობის, განათების ტექნიკის და წყაროების სპეციალობებზე.
2. მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში: ნახევრადგამტარული და ელექტროვაკუუმური მანქანათმშენებლობის სპეციალობაზე.
3. მოსკოვის საავიაციო ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: საავიაციო ხელსაწყოების მშენებლობის სპეციალობაზე.
4. მოსკოვის ქიმიურ მანქანათმშენებლობის ინსტიტუტში: საკომპრესორო და სამაცივრო მანქანათა და დანადგართა სპეციალობაზე.
5. ლენინგრადის ზუსტი მექანიკისა და ოპტიკის ინსტიტუტში: ოპტიკური ხელსაწყოებისა და სპექტროსკოპიის სპეციალობაზე.
6. ლენინგრადის კინოსაინჟინრო ინსტიტუტში: კინოაპარატურის, ხმის ტექნიკის, ფინო-ფოტომასალების ტექნოლოგიის სპეციალობებზე.
7. ოდესის კვებისა და სამაცივრო მრეწველობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: საკომპრესორო და სამაცივრო მანქანათა და დანადგართა სპეციალობაზე.
8. ოდესის კავშირგაბმულობის ელექტროტექნიკურ ინსტიტუტში: რადიომაუწყებლობისა და რადიოკავშირის სპეციალობაზე.
9. ოდესის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში: მარცვლეულის შენახვისა და გადამუშავების სპეციალობაზე.
10. გორკის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: გემების მშენებლობისა და შეკეთების, გემებისა და ძალოვანი დანადგარების სპეციალობებზე.
11. კიევის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების, ცელულოზისა და ქაღალდის წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობებზე.
12. ხარკოვის საავიაციო ინსტიტუტში: საავიაციო ძრავების სპეციალობაზე.
13. ხარკოვის კომუნალური მშენებლობის ინჟინერთა ინსტიტუტში: განათების ტექნიკისა და წყაროების სპეციალობაზე.
14. ბელორუსიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: საფუარის წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობაზე.
15. აზერბაიჯანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: ელექტროსიზოლაციო და საკაბელო ტექნიკის სპეციალობაზე.
16. აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტში: საინფორმაციო-მზომელობითი ტექნიკის სპეციალობაზე.
17. ერევნის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში: ზუსტი მექანიკის ხელსაწყოების სპეციალობაზე.
18. ერევნის ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში: ხორცის პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის სპეციალობაზე.
19. ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში: ეკონომიური ინფორმაციის მექანიზებული დამუშავების ორგანიზაციის სპეციალობაზე.

განცხადებები მიიღება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში ა. წ. 30 ივლისამდე. მისაღები გამოცდები ამავე ინსტიტუტებში 1-დან 20 აგვისტომდე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტში.

ეს ჯერ ან ეს ვერ ან ეს ოვისეიროთ

ტელევიზია

20 ივლისი

10.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები ფიზიკასა და ქიმიაში, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — თქვენთვის, პატარებო! — „ცეროდენას ეკრანი“, 18.15 — პიონერული დაფდაფები, 18.30 — მოსწავლეთათვის — საკავშირო სპარტაკიადა (რეპორტაჟი მინსკიდან), 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — გადაცემა „დავით გურამიშვილი“, 19.40 — კინონარკვევი, 20.00 — „მსოფლიო დღეს“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — ახალი ამბები, 21.10 — მხატვრული ფილმი „დაბრუნებული მუსიკა“, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 21 ივლისისათვის, 22.30 — სატელევიზიო ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.00 — მოსკოვის მეოთხე საერთაშორისო კინოფესტივალის დახურვა (გადმოცემა მოსკოვიდან).

საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირი

სპორტის სასახლე

22, 23, 24, 25 ივლისი 1965 წ.

მოსკოვის IV საერთაშორისო კინოფესტივალის ფილმების ჩვენება

ფესტივალის მონაწილეთა შეხვედრები მაყურებლებთან

თვითეულ სეანსზე ნაჩვენები იქნება ორი მხატვრული ფილმი

დასაწყისი 15 საათზე და 20 საათზე.
აბონემენტები გაიყიდება სპორტის სასახლის სალაროებში.
მიიღება განცხადები კოლექტიურ დასწრებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესამე დამარცხება საკუთარ მოედანზე

„დინამო“ (თბილისი) — სკა (როსტოვი) 0:2 (0:0) თბილისი, 19 ივლისი. „დინამოს“ სტადიონი. მსაჯი მ. პინსკი. (ხარკოვი).

სკა — ივანოვი, ჩერტკოვი, აფონინი, კაზაჩეკი, გეტმანოვი, შიკუნოვი, ბუროვი, კუჩინსკასი, კოპაეევი, პონედელნიკი, მატვეევი; „დინამო“ — ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, მაისურაძე, მეტრეველი, მესხი.

სამწუხაროს, ამასთანავე დამაფიქრებელიც, რომ თბილისის „დინამო“, ისიც ჩემპიონის ტიტულით საკუთარ მოედანზე მესამე მატჩს აგებს. დინამოელებმა ცუდი ტრადიცია დაიმკვიდრეს, მდგომარეობა საგანგაშოა.

ერთი შეხედვით დინამოელებს პირველ ტაიმსა და მეორე ნახევრის დასაწყისში თითქოს ვერც კი შეედავებოდით, ისინი თამაშობდნენ ტემპიანად, მონდომებით, მაგრამ ამას მხოლოდ გარეგნული ეფექტი ჰქონდა, კართან კი ბურთის გამტანი არავინ იყო.

სტუმართა იერიშებს მეტი ორგანიზებული ხასიათი ჰქონდა. დინამოელთა დაცვა ვერ უმკლავდებოდა მეტოქის კონტრთამაშს, მეკარე ურუშაძის ნახტომები, რეაქცია ბურთზე არ იყო ზუსტი.

სწორედ ამ უკანასკნელის უხერ შეცდომებს უნდა მივაწეროთ ორი გოლი, რომლებიც ეუჩინსკასმა და კოპაეევმა გაიტანეს მეორე ტაიმში ჩემპიონის კარში.

ერთგვარმა გამოცოცხლებამ საქმეს ვერ უშველა, დამარცხება კანონზომიერი იყო, მაყურებლებმა სტუმრები ერთსულოვანი ტაშით გააცილეს.

ქუთაისელთა გამარჯვება

გუშინდელი ასპარეზობა ქუთაისის ტორპედოელთათვის სასურველი აღმოჩნდა, მათ დამარცხეს სპარტაკი მოედანზე ბაქოს „ნეფტიანიკი“.

პირველი ტაიმი აღინიშნა გარდამავალი უპირატესობით, მაგრამ არც ერთ მხარეს ბურთი არ გაუტანია.

მეორე ნახევარში იგრძნობოდა მასპინძელთა აქტიური თამაში. 70-ე წუთზე **ჩხარტიშვილის** მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა მცველს — ბაბაევს და მიმართულება შეიცვალა, მაგრამ მას კვლავ **ჩხარტიშვილმა** მიუსწრო და ანგარიში გახსნა. ეს გოლი ერთადერთი აღმოჩნდა, გამარჯვეს ტორპედოელებმა.

ქუთაისის „ტორპედოს“ შემადგენლობაში იყვნენ — **კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ზარია, პეტრიაშვილი, კუტივაძე, ასიტაშვილი, ვეკუა, ჩხარტიშვილი, ხაფალია, ხერხაძე.**

ვეტერანები ასალგაზრდების წინააღმდეგ

რუსთავი, 19 ივლისი. (საქდესი). გასულ კვირა დღეს ქალაქის სტადიონზე ადგილობრივმა გუნდმა „მეტალურგმა“, რომელიც სსრ კავშირის პირველობის გათამაშების „ბ“ კლასში გამოდის, მიიღო მოსკოვის ვეტერანთა ნაკრები გუნდი. მოსკოველთა შემადგენლობაში მაყურებელმა ნახა სპორტთა ფეხბურთის სახელგანთქმული ოსტატები ა. ხომიჩი, ბ. რაზინსკი, ვ. ცესარევი, კ. კრეკეესკი, ვ. ეფიშევი, ი. ბელიაევი, ა. ისაევი, ი. დავიდოვი, ნ. სენიოკოვი, ბ. საფრონოვი, ვ. ეროშინოვი და სხვები.

საინტერესო მატჩი დამთავრდა ფრედ — 3:3.

მატჩები და შედეგები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეოთხმეტე ტურის მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის.

გათამაშების ლიდერი — მოსკოვის „ტორპედო“ თამაშობდა დედაქალაქის „ლოკომოტივთან“. გიმარჯვეს ტორპედოელებმა ანგარიშით 3:1. კავაზაშვილმა მოიგერია 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

ერმინის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი დონეცკის შახტიორს ეწვია. მატჩის შედეგია ფრე — 0:0. დონეცკელებმა ვერ გამოიყენეს პენალტი.

სსრ კავშირის თასის მფლობელი — კიევის „დინამო“ საკუთარ მოედანზე „ტაშკენტის „პახტაკორს“ შეხვდა. დინამოელები ავებდნენ პირველ ტაიმს, მაგრამ მდგომარეობა გამოასწორეს და გაიმარჯვეს 3:2.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა მატჩი მინსკში ადგილობრივი „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის. მეტოქეებს ბურთი არ გაუტანიათ — ფრე.

ოდესის „ჩერნომორეცს“ საკუთარ მოედანზე პაექრობა ჰქონდა სსრ კავშირის ათეზის ჩემპიონთან — მოსკოვის „დინამოსთან“. აქაც ფიქსირებული იქნა ფრე — 0:0.

შეხვედრა კუიბიშევში „კრილია სოვეტოვისა“ და ოდესის ბერმის სასპორტო კლუბის გუნდებს შორის დამთავრდა კუიბიშეველთა გამარჯვებით 4:0.

გათამაშების ცხრილი

„ა“ კლასის პირველი ჯგუფი

მდგომარეობა 20 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“ (მ.)	14	9	4	1	25-8	22
„დინამო“ (კ.)	14	8	4	2	22-10	20
ცსკა	14	6	7	1	17-5	19
„დინამო“ (მნ.)	14	6	5	3	14-6	17
„ზენიტი“ (ლ.)	15	5	6	4	19-13	16
„დინამო“ (თბ.)	14	6	4	4	19-14	16
„კრ. სოვ.“ (კუიბ.)	14	6	4	4	19-14	16
სკა (როსტ.)	14	4	8	2	16-18	16
„სპარტაკი“ (მ.)	14	5	5	4	14-10	15
„შახტიორი“ (დ.)	14	5	5	4	18-17	15
„ნეფტიანიკი“ (ბ.)	15	6	2	7	16-18	14
„ლოკომოტივი“ (მ.)	14	4	5	5	21-22	13
„დინამო“ (მ.)	14	3	6	5	13-14	12
„პახტაკორი“ (ტ.)	14	3	5	6	15-24	11
„ჩერნომორეცი“ (ო.)	14	3	4	7	16-25	10
„ტორპედო“ (ქ.)	14	3	0	11	8-32	6
სკა (ო.)	14	0	2	12	4-31	2

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-92-03, 9-03-09, პ/შგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, სპორტის მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკ